*დოკუმენტი დამტკიცებულია*
*უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 27*
*ოქტომბრის №309 ბრძანებით*

*ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის*
*რექტორის 2020 წლის 05 ნოემბრის №319,*
*2022 წლის 31 მაისის №117794, 2022 წლის 29*
*ნოემბრის №139458, 2025 წლის 15*
*ოქტომბრის № 82665 ბრძანებებით*

# საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების და შეფასების წესი

2020

## დოკუმენტის შინაარსი


მუხლი 1. ზოგადი დებულებები ..... 3

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტზე სტუდენტთა განაწილებისა და დამტკიცების წესი ..... 3

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის ხელმძღვანელი და მენტორი ... 4

მუხლი 4. პრაქტიკის ხანგრძლივობა და კომპონენტის შესრულების მოთხოვნები ..... 4

მუხლი 5. პრაქტიკის კომპონენტის შეფასების წესი ..... 5

მუხლი 6. პრაქტიკის კომპონენტის დაცვის კომისია ..... 7

მუხლი 7. აპელაცია ..... 7

მუხლი 8. სტუდენტის პრაქტიკის კომპონენტის გავლისგან გათავისუფლება ..... 9

*დანართი 1* ..... 10

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის პროფესიული პრაქტიკის (შემდგომში პრაქტიკის კომპონენტი) მიზანია პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, სამუშაო გარემოსადმი სტუდენტთა ადაპტაციის ხელშეწყობა.

2. პრაქტიკის კომპონენტი სრულდება წინამდებარე წესით დადგენილი ზოგადი მოთხოვნებისა და შესაბამისი პროგრამის პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაცვით.

3. პრაქტიკის კომპონენტს სტუდენტები ასრულებენ ევროპის უნივერსიტეტსა და პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში.

4. წინამდებარე წესი არეგულირებს პრაქტიკის კომპონენტის შესრულებისა და შეფასების წესებს, ასევე, პრაქტიკის კომპონენტისგან გათავისუფლების წესს ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე, მედიცინის ფაკულტეტზე და სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, გარდა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო და დიპლომირებული მედიკოსის (ქართულენოვანი, ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამებისა.

## მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტზე სტუდენტთა განაწილებისა და დამტკიცების წესი

1. პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტთა განაწილება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ.

2. პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტების განაწილების შესახებ ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელი აწვდის ფაკულტეტის დეკანს წერილობითი ფორმით.

3. ინფორმაცია პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტთა განაწილების შესახებ ქვეყნდება სემესტრის დაწყებამდე, უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე და ეგზავნება სტუდენტს.

## მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის ხელმძღვანელი და მენტორი

1. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების პროცესს უნივერსიტეტის მხრიდან ზედამხედველობას უწევს პრაქტიკის ხელმძღვანელი დაწესებულებიდან.

2. პრაქტიკის ხელმძღვანელი დაწესებულებიდან შეიძლება იყოს პროგრამის განმახორციელებლი აკადემიური ან მოწვეული პერსონალი.

3. პრაქტიკის ხელმძღვანელი აფასებს სტუდენტის მიერ პრაქტიკის კომპონენტის შესრულების პროცესს.

4. პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები და კრიტერიუმებს შორის ქულათა განაწილება, ასევე, შეფასების რუბრიკები განისაზღვრება პრაქტიკის სილაბუსით.

5. პრაქტიკის მსვლელობისას სტუდენტი ასრულებს კონკრეტულ სამუშაოს პრაქტიკის ობიექტზე მენტორის ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით.

6. პრაქტიკის მენტორი არის პრაქტიკის ობიექტის თანამშრომელი. არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, პრაქტიკის მენტორი არის პრაქტიკის ხელმძღვანელი დაწესებულებიდან.

7. მენტორი აფასებს სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკის სილაბუსით დადგენილი სამუშაოს შესრულებას.

8. პრაქტიკის მენტორის მიერ სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები და კრიტერიუმებს შორის ქულათა განაწილება, ასევე, შეფასების რუბრიკები განისაზღვრება პრაქტიკის სილაბუსით.

## მუხლი 4. პრაქტიკის ხანგრძლივობა და კომპონენტის შესრულების მოთხოვნები

1. პრაქტიკის ხანგრძლივობა განისაზღვრება პრაქტიკის სილაბუსით.

2. პრაქტიკის კომპონენტის შესრულება გულისხმობს:

ა) სტუდენტის საქმიანობას პრაქტიკის ობიექტზე;

ბ) სტუდენტის მიერ პრაქტიკის დღიურის წარმოებას (დანართი 1);

გ) სტუდენტის მიერ პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაციას და დაცვას.

3. პრაქტიკის დღიური მოიცავს ინფორმაციას: პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოს, თითოეული სამუშაოსთვის სილაბუსით განსაზღვრული საათების შესახებ, პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის მიერ რეალურად შესრულებული სამუშაოს, სამუშაოსთვის დათმობილი დროის შესახებ, ასევე, მენტორის მიერ სტუდენტის შეფასების შესახებ.

4. პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოს და თითოეული სამუშაოსთვის სილაბუსით განსაზღვრული საათების შესახებ ინფორმაცია პრაქტიკის დღიურში ივსება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ და დასტურდება მისივე ხელმოწერით.

5. პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის მიერ რეალურად შესრულებული სამუშაოს, სამუშაოსთვის დათმობილი დროის შესახებ ინფორმაცია ივსება სტუდენტის მიერ, ინფორმაციის სისწორეს ადასტურებს მენტორი ხელმოწერით.

6. მენტორის მიერ სტუდენტის შეფასების შესახებ ინფორმაცია ივსება მენტორის მიერ და დასტურდება მისივე ხელმოწერით.

7. არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რადგანაც პრაქტიკის მენტორი არის პრაქტიკის ხელმძღვანელი დაწესებულებიდან, დღიურში პრაქტიკის ხელმძღვანელისა და მენტორისთვის დადგენილი ველები ივსება ერთი პირის მიერ.

## მუხლი **5.** პრაქტიკის კომპონენტის შეფასების წესი

1. პრაქტიკის კომპონენტის წარმატებით შესრულების შემთხვევაში, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასების (51-100 ქულა) მიღებით, სტუდენტს ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისიწინებული კრედიტი კომპონენტში.

2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა უფლება პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია და დაცვა განახორციელოს დამატებითი გამოცდებისთვის განსაზღვრულ ვადებში;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და აღნიშნული შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია თავიდან გაიაროს პრაქტიკის კომპონენტი.

3. პრაქტიკის კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის დონის შესაფასებლად გამოიყენება შეფასების ორი ფორმა - შუალედური და დასკვნითი შეფასება. პრაქტიკის კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის დონის საბოლოო შეფასებაა შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამი.

4. პრაქტიკის კომპონენტის შუალედური შეფასება მოიცავს პრაქტიკის ხელმძღვანელის და მენტორის შეფასებებს (არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში პრაქტიკის ხელმძღვანელის, იგვე მენტორის შეფასებას), ხოლო დასკვნითი შეფასება გულისხმობს პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაციის შეფასებას დაცვის კომისიის მიერ.

5. შუალედური და დასკვნითი შეფასებების კრიტერიუმები და მათ შორის ქულათა განაწილება განისაზღვრება პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსით.

6. პრაქტიკის ხელმძღვანელისა და მენტორის შეფასებათა ჯამი (არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში პრაქტიკის ხელმძღვანელის, იგვე მენტორის შეფასება) ითვლება პრაქტიკის კომპონენტის შუალედურ შეფასებად და სტუდენტის მიერ შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შემთხვევაში, კომპონენტის დასკვნითი შეფასების მიზნით, იგი დაიშვება დაცვის კომისიის წინაშე პრაქტისკის ანგარიშის პრეზენტაციასა და დაცვაზე.

## მუხლი 6. პრაქტიკის კომპონენტის დაცვის კომისია

1. პრაქტიკის კომპონენტის დაცვა ხორციელდება ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული პრაქტიკის ანგარიშის დაცვის კომისიის წინაშე.

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს სპეციალისტები (არანაკლებ 3 და არა უმეტეს 7 წევრი), კომისიის წევრი შეიძლება იყოს მოწვეული სპეციალისტი. კომისიის შემადგენლობა ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე მტკიცდება რექტორის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

3. კომისია უფლებამოსილია, თუ პრაქტიკის კომპონენტის დაცვას ესწრება კომისიის შემადგენლობის 2/3 მაინც.

4. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს დაწესებულების წარმომადგენელი პრაქტიკის ხელმძღვანელი და მენტორი პრაქტიკის ობიექტიდან.

5. პრაქტიკის ანგარიშის დაცვას უნდა ესწრებოდეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

6. პრაქტიკის კომპონენტის დაცვის შედეგები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

7. კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს რამდენიმე პრაქტიკის ანგარიშის დაცვა.

8. პრაქტიკის ანგარიშის დაცვაზე სტუდენტს შესაბამისი კრიტერიუმებით აფასებს კომისიის თითოეული წევრი დაცვის დასრულებისთანავე, საბოლოო შეფასება კი გამოითვლება თითოეული კომისიის შეფასების საშუალო არითმეტიკულით.

9. პრაქტიკის ანგარიშის საბოლოო შეფასება ეცნობება სტუდენტს არაუგვიანეს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების მომდევნო დღისა.

## მუხლი 7. აპელაცია

1. სტუდენტი პრაქტიკის კომპონენტის შეფასების გაცნობიდან არაუგვიანეს 5 დღისა უფლებამოსილია შეიტანოს აპელაციაზე განაცხადი  შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით.

2. სტუდენტი ვალდებულია განაცხადში მიუთითოს შეფასების რომელ კრიტერიუმში/კომპონენტში არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას.

3. სააპელაციო კომისიის მიერ საკითხის განხილვის პროცესსზე დაწრების უფლებამოსილება გააჩნია პრაქტიკის ხელმძღვანელს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელსა და გასაჩივრებული კომპონენტის შეფასებაზე პასუხისმგებელ პირს/პირებს სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებით.

4. სააპელაციო განაცხადის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით რექტორი ქმნის სააპელაციო კომისიას, განსაზღვრავს თავმჯდომარეს და მდივანს.

5. სააპელაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 პირისგან. კომისიის ყველა წევრი უნდა ესწრებოდეს სხდომას.

6. სააპელაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს:

ა) დეკანი;

ბ) შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი;

გ) პრაქტიკის ხელმძღვანელი;

დ) პრაქტიკის მენტორი;

ე) პრაქტიკის კომპონენტის  დაცვის კომისიის წევრი.

7. სააპელაციო კომისია იღებს შემდეგი ტიპის გადაწყვეტილებას:

ა) პრაქტიკის ანგარიშის დაცვის კომისიაზე დაბრუნების და ხელახალი განხილვის შესახებ;

ბ) მიღებული შეფასების დატოვების შესახებ;

გ) დაუსაბუთებელი განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში, სააპელაციო განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.

8. სააპელაციო კომისია ვალდებულია დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით.

9. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება არაუგვიანეს 5 დღის ვადაში უნდა ეცნობოს სტუდენტს.

## მუხლი **8.** სტუდენტის პრაქტიკის კომპონენტის გავლისგან გათავისუფლება

1. საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლოა ითვალისწინებდეს სტუდენტის პრაქტიკის კომპონენტის გავლისგან გათავისუფლებას, პროგრამით განსაზღვრული მიდგომის შესაბამისად.

2. პრაქტიკის კომპონენტის გავლისგან გათავისუფლების საკითხს წყვეტს აღნიშნული მიზნით შექმნილი კომისია, საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და სტუდენტის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე.

3. კომისიის შემადგენლობაში შედის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი სფეროს სპეციალისტ(ებ)ი, ფაკულტეტის დეკანი ან დეკანის მოადგილე და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული წევრი (ჯამში არანაკლებ 3 და არა უმეტეს 7 წევრი). კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს სტუდენტის დამსაქმებელი დაწესებულების წარმომადგენელი.

4. კომისიის შემადგენლობა, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე, მტკიცდება რექტორის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

5. კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება კომისიის შემადგენლობის 2/3 მაინც.

6. კომისიის ფორმირება და ასევე, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს შესაბამისი სემესტრის აკადემიური რეგისტრაციის ვადებში.

7. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

8. კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება სტუდენტს არაუგვიანეს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების მომდევნო დღისა.

*დანართი 1*

**პრაქტიკის დღიური**

**ევროპის უნივერსიტეტი**

ფაკულტეტი _____

საგანმანათლებლო პროგრამა _____

პრაქტიკის ხელმძღვანელი დაწესებულებიდან _____

მენტორი პრაქტიკის ობიექტზე[1] _____

სტუდენტის სახელი და გვარი _____

პრაქტიკის განხორციელების ადგილი _____

პრაქტიკის ხანგრძლივობა *(საათების რაოდენობა კომპონენტის სილაბუსის მიხედვით):* _____

**სტუდენტის სამუშაო კალენდარული გეგმა**

| პრაქტიკის კომპონენტით განსაზღვრული სამუშაოს შინაარსი სილაბუსის მიხედვით | სამუშაოსთვის დათმობილი სთ. რაოდენობა სილაბუსის მიხედვით | სამუშაოს დაწყების / დამთავრების თარიღი | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| | | | |

პრაქტიკის ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

[1] *არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში იგივე პრაქტიკის ხელმძღვანელი*

**პრაქტიკის კომპონენტით განსაზღვრული სამუშაოს სტუდენტის მიერ შესრულების დღიური**

| პრაქტიკის ობიექტზე სამუშაოს შესრულების თარიღი | სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი | პრაქტიკის მენტორის[2] მითითებები |
|---|---|---|
| | | |

პრაქტიკის მენტორის ხელმოწერა _____

[2] *არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში იგივე პრაქტიკის ხელმძღვანელი*

**მენტორის მიერ სტუდენტის შეფასება**

| პრაქტიკის ობიექტზე სამუშაოს შესრულების ადგილი (განყოფილება/ დეპარტამენტი/ ერთეული) | სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე შესრულებული სამუშაოს დახასიათება/აღწერა | შესრულებული სამუშაოს შეფასება პრაქტიკის მენტორის[3] მიერ |
|---|---|---|
| | | |

პრაქტიკის მენტორის ხელმოწერა_____

[3] *არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში იგივე პრაქტიკის ხელმძღვანელი*